# საგრანტო კონკურსის განაცხადის შევსების ინსტრუქცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, გაიაროთ UNDP-ის სისტემაში (Quantum Portal) რეგისტრაცია (ეტაპი I) და გამოაგზავნოთ განაცხადი ელექტრონულად (ეტაპი II).

## ეტაპი I - Quantum Portal-ზე რეგისტრაცია

1. Quantum Portal-ზე რეგისტრაციისთვის დააჭირეთ ბმულს
2. Company name-ის ველში მიუთითეთ კომპანიის სახელწოდება ისე, რომ ემთხვეოდეს საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ მონაცემს. სავალდებულო ველების შევსების შემდეგ, გადახვალთ მომდევნო გვერდ(ებ)ზე.
3. ასატვირთი დოკუმენტები: კომპანიის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ინგლისურენოვანი) და ბანკის რეკვიზიტების ფურცელი ლარის ჩარიცხვისთვის.
4. რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეძლებთ საგრანტო აპლიკაციის გახსნას და შევსების დაწყებას.

## ეტაპი II - Quantum Portal-იდან საგრანტო კონკურსის განაცხადის გამოგზავნა

1. რეგისტრაციის შემდეგ, სისტემა გადაგიყვანთ პროფილის მთავარ გვერდზე



2. პროფილის მთავარ გვერდზე,‘Order Number’ - ში უნდა მიუთითოთ საგრანტო კონკურსის განაცხადის უნიკალური კოდი (**UNDP-GEO-00424**) და დააჭიროთ ხელი ძიების ნიშანს ან ‘enter’ ღილაკს.

   ან უნიკალური კოდით ძიების ნაცვლად, შეგიძლიათ მიჰყვეთ შემდეგ ბმულს: https://procurement-notices.undp.org/view_negotiation_dlink.cfm?nego_id=45163

3. განაცხადის შესავსებ ლინკზე, მარცხენა მხარეს ჩამონათვალის დათვალიერებისას (Cover Page, Overview, Requirements, Lines) შეგიძლიათ გაეცნოთ კონკურსის შესახებ ზოგად ინფორმაციას, მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, განაცხადების შეფასების სქემას და ასატვირთი დოკუმენტების ჩამონათვალსა და შაბლონებს.

4. ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, განაცხადის შესავსებად, მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა დააჭიროთ ხელი ‘Actions – Respond - **Create Response’**

5. ‘Create Response’ ღილაკის დაჭერის შემდეგ, გამოჩნდება ფანჯარა, სადაც ‘reference number’-ში უნდა მიუთითოთ **UNDP-GEO-00424**. ‘Note to Buyer’ შეგიძლიათ ცარიელი დატოვოთ. რაც შეეხება ღილაკს ‘attachment’, ამ ეტაპზე, არ ტვირთავთ არაფერს, რადგან შემდეგ სექციებში თითოეული მოთხოვნის შესაბამის ქვე-სექციაში სისტემა მოგთხოვთ ატვირთვას.

6. განაცხადის შევსებისას მიჰყევით ინსტრუქციას. ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული პანელების გამოყენებით (ფოტოზე შესაბამისი პანელები წითლად არის მონიშნული) შეგიძლიათ დაბრუნდეთ სხვადასხვა გვერდზე, შეინახოთ განაცხადი, შეავსოთ ეტაპობრივად, გააუქმოთ ან/და შეასრულოთ სხვა ოპერაციები.

   ჩამოსაშლელი პანელი ‘Section 1. General Information; მოიცავს 4 სხვადასხვა სექციას:

   1. General Information
   2. Section 2. Documents to be submitted
   3. Section 3. Applicant's Declaration
   4. Section 4. Technical Evaluation Criteria




7. **'Section 1. General Information'** - მოიცავს კონკურსის მოკლე აღწერას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს. ამ სექციაში არ დაგავიწყდეთ თანხმობის მონიშვნა შესაბამის ველებში.

8. **'Section 2. Documents to be submitted'** - ყველაზე მნიშვნელოვანი სექცია, სადაც უნდა ატვირთოთ შემდეგი დოკუმენტები:
   - Annex 2: Proposal Submission form - ჩამოტვირთეთ მოცემული ნიმუში, შეავსეთ თქვენი კომპანიის მონაცემების მიხედვით და ატვირთეთ შევსებული ვერსია.
   - Extract from Registry - კომპანიის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
   - Financial statements - ამონაწერი საბანკო ანგარიშებიდან (2023, 2024 და 2025 წლები) ან/და აუდიტის დასკვნა (წლიური შემოსავლის დადასტურების მიზნით (2023,2024 და 2024)), ან/და ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით დასაბეგრი ბრუნვის შესახებ;
   - Certificate on the absence of tax arrears - საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ ცნობა ქართულ ენაზე (საგადასახადო დავალიანების შესახებ შეტყობინება (auto+)) გაცემული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ-ის შემოსავლების სამსახურის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე).
   - განმცხადებლის მიერ დეკლარირებულ სოციალურ მისიის/აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ბმული.
   - Annex 3: Technical and Financial Proposal - ჩამოტვირთეთ მოცემული ნიმუში, შეავსეთ თქვენი კომპანიის მონაცემების მიხედვით და ატვირთეთ შევსებული ვერსია.
   - Annex 3a: Project Budget Breakdown - ჩამოტვირთეთ მოცემული ნიმუში, შეავსეთ თქვენი კომპანიის მონაცემების მიხედვით და ატვირთეთ შევსებული ვერსია.

განყოფილებებში ‘Compliance with the technical requirements’ და ‘Dedicated Bank Account’ არ არის საჭირო დოკუმენტების ატვირთვა, არამედ, მონიშვნით აცხადებთ თანხმობას შესაბამის პირობებზე.

9. **‘Section 3. Applicant's Declaration**’ - შესავსებად სავალდებულო ველია და გთხოვთ ყველა ველი მონიშნოთ შესაბამისად.

10. ‘**Section 4. Technical Evaluation Criteria’** - მოიცავს შეფასების კრიტერიუმების დეტალურ აღწერას, გთხოვთ, იხილოთ მიბმული ფაილები: ‘Annex 4 - Application Evaluation Grid’ და ‘Annex 5 - Interview Evaluation Grid’.

11. სექციაში **‘Lines’** უნდა შეავსოთ ინფორმაცია მოთხოვნილი გრანტის მოცულობისა და პროექტის დასრულების თარიღის შესახებ.

12. განაცხადის გამოგზავნამდე, განაცხადის შევსებული და შენახული draft ვერსიის ნახვა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს პანელიდან ‘Actions – View Response PDF’.

13. განაცხადის დამუშავების პროცესში შესაძლებელია განაცხადის შენახვა (SAVE AND CLOSE). განაცხადის შევსების, შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვისა და გადამოწმების შემდეგ, განაცხადის გამოსაგზავნად დააჭირეთ ღილაკს Submit (მარჯვენა ზედა კუთხეში). SUBMIT ღილაკის შემდეგ ვეღარ შეძლებთ განაცხადის დამუშავებას.

**იმ შემთხვევაში თუ რაიმე აუცილებელი ველი, რომელიც მონიშნულია ასტერიქსით*, გამორჩენილია, სისტემა არ მიიღებს თქვენს განაცხადს. თუ რომელიმე სექცია, რომლის შევსებაც აუცილებელია (*) და გამორჩენილი გაქვთ, სისტემა (Submit-ის დაჭერის შემდეგ) გამოიტანს შეტყობინებას ცალკე ფანჯარაში კონკრეტული სექციის მითითებით. შესაბამისად, თქვენ მოგიწევთ მითითებულ სექციაში დაბრუნება და კომენტარის დამატება ან დანართის ატვირთვა ან მონიშვნა.**